საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ბრძანება N 27/ᲛᲐ

ქ.თბილისი 07/08/2019

ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-13 და 26[1] მუხლების, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N82 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „ბიოლოგიურ აგენტებზე მუშაობის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „კ“ ქვეპუნქტების, VII თავის, 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ,,მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის” დამტკიცების თაობაზე 2007 წლის 3 მაისის N147/ნ ბრძანების 497 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 501-ე მუხლისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წლის 25 აგვისტოს N2-155 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1.

1. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ს.ს.ი.პ. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“ განეკუთვნება ბიოუსაფრთხოების მეორე დონის ლაბორატორიას და თანამშრომელთა ნაწილი დასაქმებულია ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ სამუშაოზე, ს.ს.ი.პ. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ დირექტორის 2015 წლის 24 ნოემბრის N57/ᲛᲐ ბრძანებაში „შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა. შრომის შინაგანაწესის 27-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.1. პუნქტი:

„1.1. ლაბორატორიულ კვლევებზე დასაქმებულთა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჯანმრთელობისთვის საშიშ საქმიანობასთან სამსახურებრივ/სამუშაო პროცესში შემხებლობაში მყოფ თანამშრომელთა სამუშაო კვირის ხანგრძლივობა განისაზღვრება 5 (ხუთი) სამუშაო დღით, ხოლო სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება 09:00 საათიდან 17:00 საათამდე პერიოდით;“

ბ. შრომის შინაგანაწესის 28-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.1. პუნქტი:

„1.1. ლაბორატორიულ კვლევებზე დასაქმებულთა და კანონმდებლობით

გათვალისწინებულ ჯანმრთელობისთვის საშიშ საქმიანობასთან სამსახურებრივ/სამუშაო პროცესში შემხებლობაში მყოფ თანამშრომელს, უფლება აქვს ისარგებლოს დამატებით ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში 10 კალენდარული დღე. მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა ამ დღეების ნაწილ-ნაწილ გამოყენება.“

მუხლი 2.

1. **დაევალოს** ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების განყოფილებას, წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების ასახვა სამუშაო აღწერილობებში;

მუხლი 3.

1. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).
2. ბრძანება ძალაში შედის 2019 წლის 15 აგვისტოდან.

3. ბრძანების საფუძველია: ლაბორატორიის იურისტის - რუსუდან კაპანაძის, საქართველოში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოდგენილი 2019 წლის 21 თებერვლის N 260-07 მოხსენებითი ბარათი.
4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

ირაკლი გულედანი

დირექტორი